



9380/4-2/21 2 10092021

9380/4-2/21

10-09-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,

ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

პირველ რიგში, მადლობს მოგახსენებთ ჩემი 2021 წლის 15 ივნისის N6078/4-2/21 მომართვის პასუხად თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციისათვის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებებში დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით.

ამჯერად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ იგივე საკითხებთან დაკავშირებით მოგვაწოდოთ განახლებული ინფორმაცია დღეის მდგომარეობით.

აგრეთვე, გთხოვთ გვაცნობოთ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფ რამდენ პირს ჩაუტარდა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



# საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010199023419721

№14456

03 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,  
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი მომართვის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/24551; თარიღი: 12.09.2021) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია განახლებული ინფორმაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებებში შემოღებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით და სტატისტიკური ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფი პირების შესახებ, რომელთაც ჩაუტარდათ „COVID-19“-ის სანინააღმდეგო ვაქცინაცია, გაცნობებთ შემდეგს:

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში ახალი კორონავირუსის (2019-nCov) გავრცელების პრევენციისა და მართვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით, „პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ“ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 5 მარტის №4109 ბრძანების შესაბამისად, 2020 წლის 5 მარტიდან 2020 წლის 19 მარტის ჩათვლით პენიტენციურ დაწესებულებებში შემოღებულ იქნა განსაკუთრებული პირობები, რომელთა ვადა გაგრძელდა 2021 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

დღეის მდგომარეობით, განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეჩერებული აქვთ „პატიმრობის კოდექსით“ განსაზღვრული საოჯახო პაემნით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება.


თუმცა, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან გამომდინარე, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია და პენიტენციურ დაწესებულებებში

შემოდებული განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში ორჯერადად ვაქცინირებულ მსჯავრდებულებს მიეცათ უფლება, ისარგებლონ კუთვნილი ხანგრძლივი პაემნით. ხანგრძლივი პაემანი უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ამასთან, გაცნობებთ, რომ, მიმდინარე წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ჩართულობით, შესაბამისი პრეპარატებით (სინოფარმი, სინოვაკი, ფაიზერი) „COVID-19“-ის სანინააღმდეგო ვაქცინით ვაქცინირებულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული 7522, ხოლო რევაქცინირებულია 6740 ბრალდებული/მსჯავრდებული.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

რატი ბრეგაძე